14336-04-5-2-201412121539

N 04-5/14336
12/12/2014

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს,

ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტზე“ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

2014 წლის 27 აგვისტოს №15057/1 განცხადებით მომმართა ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“–ს თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ავალიშვილმა და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან, ორგანიზაციის მიერ 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-020 განცხადებით მოთხოვნილი ნაწილი ინფორმაციის გაუცემლობის და ნაწილი ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემის კანონიერების შესწავლა.

ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 27 იანვარს ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ № OPD01/14-020 განცხადებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

1. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ–ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
2. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ–ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
3. მინისტრის და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები;
4. 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;
5. 2013 წელს სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიების ჩამონათვლის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);
6. 2013 წელს თანამდებობების პირების (ცალ–ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. ,,როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
7. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებული ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით) მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით;
8. 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;
9. 2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვების სახეობის,მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით;
10. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);
11. სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2013 წელს გაწეული ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია (გთხოვთ მიუთითოთ შესაბამის თანამდებობის პირზე ან თანამშრომელზე დროებით მფლობელობაში გადაცემულ ავტომანქანაზე გაწეული მომსახურების სახე, თანხის ოდენობა და მომსახურების პერიოდი; ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება);
12. 2013 წელს აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები;
13. 2013 წელს აუდიტორული შემოწმებების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის შემთხვევების რაოდენობა;
14. 2013 წელს მაკონტროლებელი (როგორც შიდა უწყებრივი, ისე გარე) ორგანოების მიერ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა–ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა ნუსხა (მათი მოკლე აღწერილობის მითითებით).

ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ 2014 წლის 27 იანვრის N OPD 01/14-020 წერილით ადმინისტრაციული ორგანოდან, ზემოაღნიშნული ინფორმაციის მათთვის დაუყოვნებლივ გადაცემა მოითხოვა. ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტროს არასამთავრობო ორგანიზაციამ სთხოვა ის ინფორმაცია, რომელიც ელექტრონულად იწარმოებოდა ან შესაძლებელი იყო მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მიეწოდებინათ მათთვის ელექტრონული დოკუმენტის სახით მითითებულ მისამართზე, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით. ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" სამინისტროში წარდგენილ წერილში მზადყოფნას გამოთქვამდა გადაეხადა ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

2014 წლის 28 იანვრის N08/477 წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" აცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–40 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო იყო 10–დღიანი ვადა.

არასამთავრობო ორგანიზაციას, მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით, 2014 წლის 12 თებერვლის N08/873 წერილით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, ამავე სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიული გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ეცნობა, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვების გადაუდებელი აუცილებლობისას შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, მათი განცხადების N8 პუნქტში მითითებული მიწერილობა სამინისტროში არ ხორციელდებოდა. ასევე განემარტა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არ ინახებოდა.

2013 წელს განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშები და აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან არ გადაეცა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაეყრდნო ამავე სამინისტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის პოზიციას, რომელმაც ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია უარი ეთქვა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციას 2014 წლის 12 თებერვლის N08/873 წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მიაწოდა არასრულყოფილი სახით.

2014 წლის 27 თებერვალს ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სახელზე წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი NOPD/CPT14-002 და მოითხოვა 2014 წლის 27 იანვრის წერილით გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი სახით გადაცემა.

მიმდინარე წლის 14 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/72 ბრძანების საფუძველზე, წარმოებაში იქნა მიღებული ორგანიზაციის ადმინისტრაციული საჩივარი, ხოლო 2014 წლის 26 მარტს, აღნიშნულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი მოსმენა. 2014 წლის 27 აგვისტოს წარმოდგენილ N15057/1 განცხადებაში ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"–ს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ინსტიტუტს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183–ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ არ მიუღია სამინისტროს გადაწყვეტილება მათ მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით, შესაბამისად, ორგანიზაციამ მიმდინარე წლის 09 ივლისს კვლავ მიმართა სამინისტროს განცხადებით, რათა გადაეცათ მისთვის საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა უშედეგოდ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა როგორც ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" 2014 წლის 27 იანვრის N OPD01/14-020 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად, ისე ორგანიზაციის 2014 წლის 24 თებერვლის საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი მასალები და ინფორმაცია იმის თაობაზე, ეცნობა თუ არა ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" მათ მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტოში 2014 წლის 24 თებერვალს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიმდინარე წლის 30 სექტემბრის N04/6635 წერილით ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"–ს 2014 წლის 24 თებერვლის საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით განუმარტა, რომ აღნიშნული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას სამინისტროს მიერ შესაბამისი საბოლოო (შემაჯამებელი) გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. სამინისტრომ მოცემულ წერილში ყურადღება გაამახვილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177–ე მუხლის მე–2 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ასევე არასრულყოფილი სახით მოეწოდა ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" 2014 წლის 27 იანვრის N OPD01/14-020 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია.

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოცემული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილი აქვს ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"–ს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დარღვევას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც აღიარებულია, როგორც ქვეყნის შიდა[1], ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით[2]. საქართველოს

[1]1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია; 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდქსი

კონსტიტუციის 24-ე მუხლი ყოველ ადამიანს ანიჭებს უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. თუმცა ინფორმაციის მიღების უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიცხვს. იგი შეიძლება შეზღუდულ იქნეს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში[3], რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის ან საზოგადოების უსაფრთხოება, სხვათა უფლებების ან ღირსების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება და ა. შ.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს ყოველ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამასთან, მოცემული ნორმა სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას - გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლებას, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით ,,საქართველოს ყოველ მოქალაქეს“ ანიჭებს, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 14 ივლისის N2/3/264 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,...აღნიშნული მუხლი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმციას და ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას...“.

საჯარო ინფორმაციის დეფინიცია მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაჯეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვედეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯაო დაწესებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **ყველას** აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. ხოლო, ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა.“

ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ“ 2014 წლის 27 იანვრის № OPD01/14-020 წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, ამდენად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვალდებული იყო განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაეცა სრულყოფილი სახით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და იმ ფორმით რა

---

[2] 1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, 1950 წლის 04 ნოემბრის ევროპის საბჭოს ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის კონვენცია“ (ევროპული კონვენცია) და სხვა.

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24. პუნქტი 4.

ფორმითაც ის იყო მოთხოვნილი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, იმ შემთხვევაშიც კი თუ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა სამინიტროში დაცულ ინფორმაციას, ვალდებული იყო არაუგვიანეს 10 დღისა გამოეთხოვა საჯარო ინფორმაცია სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან და უზრუნველეყო მისი მიწოდება განმცხადებლისთვის[4].

ამასთანავე, მნიშვნელოვანია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის იმპერატიული დანაწესი, რომლის თანახმად, დაუშვებელია საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ,,მიზანშეუწონლობი"–ს მოტივით არ გასცა ორგანიზაციაზე 2013 წლის აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები, რაც წარმოადგენს კანონშეუსაბამო ქმედებას, ვინაიდან აღნიშნული მოტივით საჯარო ინფორმაციის არ გაცემა ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის რეგულაციებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე საქართველოს კონსტიტუციის 41–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას, ანალოგიური შინაარსის ჩანაწერს შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42–ე მუხლის ,,ნ" ქვეპუნქტი.[5] საქართველოს კანონმდებლობით ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად არ არის გათავლისწინებილი ინფორმაციის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევა, შესაბამისად, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტროს პოზიციის დასაბუთება მისი გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის მოტივით ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან, ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" 2014 წლის 24 თებერვლის NOPD/CPT14-002 საჩივართან დაკავშირებით განხორციელებულ უმოქმედობას და მათ განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177–ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. მიმაჩნია, რომ აღნიშნული დამოკიდებულება მსგავსი ტიპის საჩივრების მიმართ, ჩრდილს აყენებს სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხს, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა ინფორმაციის მიღების

---

[4] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას

[5] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–40 მუხლის ,,ნ" ქვეპუნქტის თანახმად ყველას აქვს უფლება იცოდეს ყველა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

უფლების რეალიზაცია, მისი დემოკრატიულობის ხარისხის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს.

ამდენად, მიმაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილი პირის/პირების მიერ დარღვეულია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც თავის მხრივ არღვევს ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" უფლებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, გასცეთ ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტზე" მათ მიერ 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-020 წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით.

გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

უჩა ნანუაშვილი

სახალხო დამცველი

.